1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (108) 10 აგვისტო 1960 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

108. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სავაჭრო შეთანხმების ვადის გაგრძელების თაობაზე საბჭოთა კავშირ-კანადის ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

109. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის ჩატარების ვადების შესახებ.

110. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ ი. ს. ლუპინოვიჩის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. იაკოვლევის დანიშვნის შესახებ.

112. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ქ. მ. კულიევის დანიშვნის შესახებ.

113. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

114. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზღვაო ტრანსპორტის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

115. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთ სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულების დამატების შესახებ.

117. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო რაზმელის ამხ. ი. ლ. სამოკვიტოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი მეორე

## განყოფილება მეორე

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 108 სავაჭრო შეთანხმების ვადის გაგრძელების თაობაზე საბჭოთა კავშირ-კანადის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირ-კანადის ოქმი, ხელმოწერილი 1960 წლის 18 აპრილს მოსკოვში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კანადას შორის 1956 წლის 29 თებერვლის სავაჭრო შეთანხმების ვადის გაგრძელების შესახებ **რატიფიცირებულ იქნას**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 25 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 109 სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის ჩატარების ვადების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოქალაქეთა მორიგი გაწვევა სამხედრო სამსახურში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისათვის, 1961 წლიდან დაწყებული ჩატარდეს ნოემბერ-დეკემბრის თვეებში, იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებიც განლაგებული არიან ჩუკოტკაზე, კამჩატკაზე, სახალინზე, კურილიის კუნძულებზე, უკიდურეს ჩრდილოეთში და პამირში, რომელთათვისაც გაწვევა ჩატარდეს ივნისში, აგრეთვე ყველა რაკეტული ნაწილების, საზღვარგარეთ მყოფი ჯარების, რადიოტექნიკური ნაწილების, ადგილობრივი მსროლელთა ნაწილებისა და მესაზღვრე ჯარებისათვის გაწვევა ჩატარდეს სექტემბრის თვეში.

გაწვევა ჩატარდეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. მოქალაქეთა გასაწვევად გამოცხადების ზუსტი ვადები დადგინდება რაიონის სამხედრო კომისრების ბრძანებებით.

2. შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის მე-15 მუხლში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 27 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 110 ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ ი. ს. ლუპინოვიჩის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავის გამო და სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი დამსახურების გათვალისწინებით ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ივანე სტეფანეს ძე ლუპინოვიჩი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 ივლისი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 111 კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. იაკოვლევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ დანილის ძე იაკოვლევი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კონგოს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 1 აგვისტო.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 112 ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კ. მ. კულიევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კლიჩი მამედის ძე კულიევი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ტუნისის რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 1 აგვისტო.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 113 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. მარიამ ვასილის ასულ **გულიშვილს** — ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, დუშეთის რაიონი.

2. მემე გიგოს ასულ **ვალიშვილს** — დიასახლისს, კასპის რაიონის სოფელი სარიბარი.

3. ზოხრა ჰუსეინ ყზი **მამედოვას** — კოლმეურნეს, დმანისის რაიონი სოფელი დაგ-არახლო.

4. ვაზუხა ყულუ ყზი **მირიევას** — დიასახლისს, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონი.

5. ელენე თომას ასულ **ნუცუბიძეს** — დიასახლისს, ადიგენის რაიონის სოფელი ზანავი.

6. სარა საბას ასულ **პოპოვას** — ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, დმანისის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 2 აგვისტო.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 114 საზღვაო ტრანსპორტის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საზღვაო ტრანსპორტის განვითარების საქმეში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. ანატოლი გრიგოლის ძე **აბაკუმოვს** — ჩრდილოეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, არხანგელსკის ოლქი.

2. ვლადიმერ არქიპის ძე **ბოკიევეცს** — ვლადივოსტოკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირს, ზღვისპირეთის მხარე.

3. ვასილ ივანეს ძე **ბოჩკარიოვს** — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს სოვეტსკაია გავანის გემთშესაკეთებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს, ხაბაროვსკის მხარე.

4. პავლე ივანეს ძე **ვავილოვს** — მურმანსკის სახელმწიფო საზღვაო არქტიკული სანაოსნოს ყინულმჭრელის უფროს მემანქანეს, მურმანსკის ოლქი.

5. ფელიქს **ვოოლენსს** — ესტონეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის კაპიტანს, ესტონეთის სსრ.

6. იგორ ნიკოლოზის ძე **გრიცუკს** — სახალინის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, სახალინის ოლქი.

7. ბორის ანდრიას ძე **გრიშინს** — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, ზღვისპირეთის მხარე.

8. ალექსი ევგენის ძე **დანჩენკოს** — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს უფროსს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

9. რუსლან ივანეს ძე **ევგრაშკინს** — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს — უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

10. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ზაიცევს** — ტიქსის რაიონული რადიომეტეოროლოგიური ცენტრის პოლარული სადგურის უფროსს, იაკუტიის ასსრ.

11. მიხეილ მაქსიმეს ძე **კომპანეეცს** — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის მეცეცხლურს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

12. ბრუნო კარლის ძე **კონდრუსს** — ლატვიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, ლატვიის სსრ.

13. ვლადიმერ სერგის ძე **კოტოვს** — ბალტიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს კანონერის გემთშესაკეთებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს, ქალაქი ლენინგრადი.

14. ივანე ვასილის ძე **კუზნეცოვს** — ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მეამწეს, ქალაქი ლენინგრადი.

15. ჩესლოვას იონას ძე **ლევიცკასს** — კლაიპედის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროს მეამწეს, ლიტვის სსრ.

16. ნიკოლოზ ნიკიტას ძე **მალახოვს** — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს უფროსს, ზღვისპირეთის მხარე.

17. ალექსი თევდორეს ძე **მასლეხას** — ნოვოროსიისკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროს მეამწეს, კრასნოდარის მხარე.

18. პეტრე გრიგოლის ძე **მელნიკოვს** — კასპიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის ტუმბოს მემანქანეს, აზერბაიჯანის სსრ.

19. კონსტანტინე ანტონის ძე **პეჩინსკის** — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს აზოვის სამმართველოს გემის უფროს მექანიკოსს, უკრაინის სსრ, სტალინოს ოლქი.

20. კონსტანტინე ფილიპეს ძე **რეკვავას** — ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსს, საქართველოს სსრ.

21. პეტრე პეტრეს ძე **საბლინს** — კასპიის საზღვაო გზების სარეიდო სამმართველოს მიწის ამოსახაპავი დანადგარის კაპიტანს, ასტრახანის ოლქი.

22. სერაფიმ ალექსანდრეს ძე **საველიევს** — ბალტიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის ბოცმანს, ქალაქი ლენინგრადი.

23. პეტრე სტეფანეს ძე **სვირნენკოს** — დიქსონის რაიონული რადიომეტეოროლოგიური ცენტრის პოლარული სადგურის უფროს ჰიდრომეტეოროლოგს, კრასნოიარსკის მხარე.

24. დიმიტრი ეგნატეს ძე **სოროკას** — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს დიზელელექტრომავლის კაპიტანს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

25. ყარა **ჰათამოვს** — შუა აზიის სახელმწიფო სანაოსნოს გემის კაპიტანს, უზბეკეთის სსრ.

26. ანატოლი ალექსანდრეს ძე **ჩერნეევს**—კამჩატკის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის კაპიტანს, კამჩატკის ოლქი.

27. გრიგოლ გიორგის ძე იაკოვლევს — დუნაის სახელმწიფო სანაოსნოს კარჭაპის შკიპერს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 აგვისტო.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 115 საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

### საქართველოს სს რესპუბლიკაში

### ლენინის ორდენით

გიორგი სიმონის ძე ვატაევი — ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილე.

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. დოფენტი კონსტანტინეს ძე კანკია — ფოთის ნავსადგურის უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი.
2. გენადი ესტატეს ძე კაჭარავა—ფოთის ნავსადგურის ბუქსირის კაპიტანი.
3. გიორგი მიხეილის ძე კუმკაშვილი — ბათუმის ნავსადგურის ბუქსირის უფროსი შტურმანი.
4. აფრასიონ ილარიონის ძე ოჩიგავა — ფოთის ნავსადგურის პარტბიუროს მდივანი.
5. ვახტანგ იაკინთეს ძე სადრაძე — ფოთის ნავსადგურის რაიონის უფროსი.
6. შალვა სამსონის ძე სიმონიშვილი — ბათუმის ნავსადგურის უფროსი.

### „საპატიო ნიშნის" ორდენით

1. სურენ საროს ძე ავეტისიანი — ბათუმის ნავსადგურის მტვირთავი.
2. მიხეილ ალექსის ძე ბელი — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.
3. გივი პავლეს ძე გუგუშვილი—ფოთის ნავსადგურის უფროსი მეამწე.
4. ალექსანდრე ტიგრანის ძე დემუროვი — ბათუმის ნავსადგურის ბუქსირის მესამე მექანიკოსი.
5. ფრანც იოსების ძე დომარაცკი—სოხუმის ნავსადგურის უფროსი დისპეტჩერი.
6. გიგლა გრიგოლის ძე კოდუა — ფოთის ნავსადგურის კარჭაპის უფროსი მეამწე.

7. ნოდარ ბაგრატის ძე **ჭანტურია** — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. აკაკი ივანეს ძე **ჯაბუა** — ფოთის ნავსადგურის მტვირთავი.
2. ვასილ გაბრიელის ძე **ილიუხინი** — ფოთის ნავსადგურის მტვირთავი.
3. ოთარ ლავრენტის ძე **რამიშვილი** — ბათუმის ნავსადგურის უფროსი ელექტრიკოს-მეამწე.

## მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. დიმიტრი კალენიკეს ძე **გაბრიჩიძე** — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.
2. მიხეილ თევდორეს ძე **დვოროვენკო** — ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის მასწავლებელი.
3. ზურაბ არტემის ძე **ზურაბიანი** — ბათუმის ნავსადგურის მცირე მექანიზაციის მძღოლი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 აგვისტო.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**116** **„იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთი სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულების დამატების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების თაობაზე, რომლებიც წინა სამუშაოდან წავიდნენ თავიანთი სურვილით“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულებას დაემატოს მე-6 მუხლი შემდეგი შინაარსით:

„6. დადგინდეს, რომ ამ ბრძანებულების მეორე მუხლით გათვალისწინებული უწყვეტი შრომის სტაჟის შენარჩუნების წესი გამოიყენება სამსახურიდან თავიანთი სურვილით განთავისუფლების შემთხვევებშიაც, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1960 წლის 1 იანვრამდე“.

2. დროებითი შრომისუუნარობის გამო გაცემული დახმარების და დანიშნულ პენსიათა გადაანგარიშება ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით არ იწარმოებს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 117 სახალხო რაზმელის ამხ. ი. ლ. სამოკვიტოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს მამაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას ამხ. ივანე ლუკიანეს ძე **სამოკვიტოვი** **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 აგვისტო.

## ც ნ ო ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ

1960 წლის 24 ივლისს მოხდა არჩევნები კავშირის საბჭოში ძერჟინსკის № 144 საარჩევნო ოლქში და მოგილევის № 594 საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებად კავშირის საბჭოში არჩეული არიან:

ძერჟინსკის № 144 საარჩევნო ოლქში — ამხ. ვალენტინ მიხეილის ძე **სუხოვი**, გორკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე;

მოგილევის № 594 საარჩევნო ოლქში — ამხ. გალინა ვლადიმერის ასული **პივუნოვა**, მოგილევის კუიბიშევის სახელობის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მრთველი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეულ ყოფილიყვნენ ტაჯიკეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 528 კაცი. მათ შორის: **ლენინის** ორდენით 24 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 92, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით—115 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**—297 კაცი.

* * *

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 6 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მასწავლებლები და სახალხო განათლების მუ-

შაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეულ ყოფილიყვნენ უკრაინის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 894 კაცი. მათ შორის: **ლენინის ორდენით** 59 კაცი, **შრომის წითელი დროშის ორდენით** — 123, „**საპატიო ნიშნის ორდენით**—178, და მედლით „**შრომითი მამაცობისათვის**"—534 კაცი.

# ნაწილი მეორე

## განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 118 აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 119 აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკები **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალიგეიდარ აბდულალი ოღლი **ალექპეროვი** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი, რეჟისორი
2. მამედ ალი ალი ყული ოღლი **ალიევი** — მსახიობი
3. რზა რუსტამ ოღლი **აფღანლი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
4. სოფო ბასირ ყზი **ბასირზადე** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
5. ლეილა აღალარ ყზი **ბედირბეილი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ალა სადიხ ალა ალი ოღლი **გერაიბეკოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

7. ისმაილ იუსუფ ოღლი **დაღესტანლი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

8. ადილ რზა ოღლი **ისკენდეროვი**—სსრკ სახალხო არტისტი, თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

9. მუსტაფა აშუმ ოღლი **მარდანოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

10. მირვარი ბალა ლადაშ ყზი **ნოვრუზოვა** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი

11. ისმაილ ოსმან ოღლი **ოსმანლი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

12. მახლუგა ალესკერ ყზი **სადიხოვა** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი

13. მამედ ახმედ ოღლი **სადიხოვი** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი

14. ჰასან ალა დარიალ ოღლი **სალაევი**—აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი

15. მოვსუმ სადიხის ძე **სანანი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

16. აჟდარ ალი აბას ოღლი **სულთანოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

17. ნუსრეთ მოვსუმ ოღლი **ფატულაევი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი, მთავარი მხატვარი

18. ნურადინ მოვსუმ ოღლი **ფატულაევი** — მუსიკალური ნაწილის გამგე

19. ფატმა ყადირის ასული **ყადრი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

20. ოკიუმა აბას ალი ყზი **ყურბანოვა** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

21. ალი ალი ოღლი **ყურბანოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

22. ალა დადაშ ყურბან ოღლი **ყურბანოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი

23. მამედ რზა ისა ოღლი **შეიხზამანოვი** — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი

24. გრიგოლ ზაქარიას ძე **ხოროშუხინი** — დირექტორის მოადგილე

25. ალა ჰუსეინ ხალილ ოღლი **ჯავადოვი** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 აგვისტო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა